პაოლო იაშვილის შემოქმედების ფერთა ლექსიკური თავისებურებები

ფერიდე სანაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ferisanaia@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.808

სტრუქტურულად არაფორმალური სახეები შესაძლოა კონკრეტულ არქეტიპებად გარდაიქმნეს, აქედან კი ყალიბდება ცნებების შინაარსები, ჩნდება სემანტიკური ველები. სემანტიკა, თავის მხრივ, სემიოტიკური პოზიციებიდან იკვლევს სიტყვების, მდგრად სიტყვათა შეწყობებისა და ენის სხვა ერთეულების აზრთან, მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტებს ადამიანები ფერთან აკავშირებენ, რომელთა მიმართებით გააზრებულად ყალიბდება ასოციაციები.

21-ე საუკუნემ გზა გაუხსნა ფერის ჰუმანიტარული ასპექტების ინტერდისციპლინურ შესწავლას. ფერების და ფსიქოლოგიური ფუნქციონირების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ არსებული თეორიული და ემპირიული ნაშრომი განვითარების ადრეულ ეტაპზეა.

ფერთა ლექსიკო-სემანტიკური ველის თვალსაზრისით, სიტყვას შეიძლება გააჩნდეს როგორც ემოციური, ისე კონკრეტული შინაარსი. სუბიექტურ და ობიექტურ შინაარსს კი ემოციური აღქმა უდევს საფუძვლად. უნდა აღინიშნოს, რომ ფერთა აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა იმ ფერებთან შედარებით შეზღუდულია, რომლებსაც აღიქვამს ადამიანი.

ფერთა სიტყვებს განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა აქვს პოეზიაში. პაოლო იაშვილის ლექსებში დასტურდება როგორც აქრომატული **(თეთრი, შავი, რუხი),** ისე ქრომატული **(წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი)** ფერები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

წითელი ფერის სიმბოლური მნიშვნელობა მრავალმხრივია. ეს არის გამბედაობის, ცეცხლის, სისხლის ფერი. ლექსში ,,ფარშავანგები ქალაქში“ საბედისწეროა წითელი, როგორც ,,სისხლისფერი გველეშაპის“ ფერი. ლექსში წითელი ჯერ – სისხლისფერში, შემდეგ იისფერში გადადის: ,,წითელ ქარი“, ,,წითელი ფარშავანგები“, ,,სისხლისფერი გველეშაპი“, ,,წითლად ეძინება“, ,,ვით დაფლეთილი, სისხლისფერი“, ,,იისფერი ნისლი“.

,,წითელი“ ფერისა და ამ ფერის ლექსიკურ ერთეულში გაერთიანებული სიტყვებით გამოხატულია სიკვდილის, უბედურების მოახლოება, გლოვა, სიბრაზე: ,,ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშავანგებით.“ /,,სისხლისფერ გველეშაპს ბრაზი ემატება.“ ,,ჩუმად არის

ყველაფერი, ქალაქს წითლად ეძინება.“/ ,,...ვით დაფლეთილი, სისხლისფერი...“ (,,ფარშავანგები ქალაქში“); ,,შენს სასახლეში ყეფს წითელი საშინელება“ (,,ვერჰარნ“); ,,ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ (,,მეფის ქორწილი“). ,,ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვდილს“ (,,წითელი ხარი“).

გვხვდება აგრეთვე: ,,წითელი საქართველო“, ,,წითელი რუსეთი“, ,,წითელი დროშა“; ,,წითელი კვალი“, წითელი ქარი“.

წითელი რევოლუციისა და ბრძოლის სიმბოლოა. ,,წითელ დღეს, სხივმა წითელმა გააპო მღვიმეს კედელი“, – წერს პოეტი ლექსში ,,წითელი დღე“.

წითელი ფერის ასოციაციებს ბადებს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ჟღალი, ჭორფლიანი, ჟანგისფერი, სისხლისნაირი. მოვიყვანთ ფრაგმენტს ლექსიდან: ,,თბილისი ჟღალი, ჭორფლიანი დღეს არი ავად“ // ,,მზე დაწყდა სისხლად, ჟანგისფერი მძიმობს ჰაერი“ //,,გაწითლდა მტკვარი და შეიქმნა სისხლის ნაირი“ (,,ასპინძის ომი“).

ერთი და იგივე ფერი იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. აქ მთავარია კონტექსტი. შესაბამისად, გაორებულია მათი მკითხველისეული შეფასებაც. ასე, მაგალითად, ყვითელი (ღია) ეს არის ნათელი, მხიარული ფერი, მაგრამ აქვს უარყოფითი მნიშვნელობაც. მოსაწყენი ყვითელი წარმოადგენს სიფრთხილეს, სიმხდალეს, ღალატს, ავადმყოფობას და ეჭვიანობას. გადაჭარბებულ ყვითელს აქვს შემაშფოთებელი ეფექტი, ხშირად გამოიყენება გაფრთხილების ნიშნად.

მ. თავდიშვილის დაკვირვებით, პოეტისათვის ,,ყვითელი ფერი ავადმყოფობისა და სიკვდილის ფერია. იგი ძირითადად იქ გვხვდება, სადაც არასასურველ საგნებსა და მოვლენებზეა საუბარი“ [თავდიშვილი, 1974: 113].

პ. იაშვილის ლექსებში **ყვითელი** და ამ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები უკავშირდება **ავადმყოფობას, შიშს, სიბრაზეს, მოსალოდნელ უბედურებას:**

,,ფრთებზე სდუღდა სპილენძი და კიოდნენ ყვითელ ციდან“ (,,ფარშავანგები ქალაქში“); ,,შიშით ვიხედები, გაყვითლდნენ გედები“ (,,იქითური“); ,,სანთლისფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება“ (,,სევდიანი ზურმუხტი“); ,,...და მთელ ეზოს ანათებს შუქი ქარვისებური“ (,,თავდაპირველ მოსახლესთან“); ,,ზოგი ყვითელია, ზოგი იღუპება...“ (,,სტუდენტთა ოთახში სანთლებად ვენთებით“).

ყვითელი ფერის ლექსიკურ ერთეულში გაერთიანებული სიტყვებით იქმნება შემდეგი პოეტური სახე-სიმბოლოები, სადაც ,,ყვითელი“ ბოროტებისა და განწირულების ფერია: ,,ყვითელი საშინელება“, ,,ყვითელი დანტე“, ,,ყვითელი ორპირი“, ,,სახე ყვითელი“, ,,ყვითელი ურდოები“, ,,ყვითელი ლექსები“, ,,ყვითელი წერილები“.

ქართველმა სიმბოლისტებმა ნაყოფიერად გამოიყენეს **ბნელისა და შავის** სემანტიკური შინაარსი: ,,ბნელია, ბნელ აზრიანი / გულით ხომ უფრო შავია“; ,,ჭრილობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა“; ,,შავ ჭაობიდან დახსნილ მიწაზე...“; ,,გზა ბნელი და გაუბედარი...“; ,,უთქვენოდ შესწუხდა, დაბნელდა დარბაზი“.

შავი **გლოვის, მწუხარების, უბედურების, სიბნელის, გამოუცნობის, წყვდიადის, ქაოსის, ბოროტების, მუქარის, სიმახინჯის, ცბიერების, გასაჭირის, ჟამთა სიავის, სიკვდილის და**

უარყოფითი ძალის სიმბოლოა. ღამისფერში მოიაზრება მწუხარება, განადგურება და სიკვდილი; **სიშავე** ბოროტებას, ტანჯვას ნიშნავს.

,,შავი“ ასოცირდება ცბიერებასთან, ბოროტებასთან: ,,ხელთ უპრია შავ სატანას საიდუმლო სიცოცხლისას“ (,,ღმერთო, ღმერთო“); ,,შავი ღალატი მუხანათური“ (,,წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო“).

შავი ფერის აღქმას იწვევს ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: დაისი, დაისისფერი, ბნელი, რომლებიც განსაკუთრებით ხშირია პოეტის ლინგვოსპექტრში. გვხვდება აგრეთვე: რუხი, წყვდიადი, ბინდი, შეღამება, ღამე, ნისლი: ,,რუხად ჩააბნელა“; ,,ის დაისის ფერი სილა...“; ,,როგორ მაშინებს ჩვენს სოფელში მე დაბინდება“; ,,ძველს, შავი ზღვიდან მოშვერილ დაისს“; ,,იყო ტკივილი, იყო ეჭვი, ხშირად შებინდდა“; ,,ქორწილი ბინდური, ყვირილი მაყრების“; ,,შავი ზღვიდან, დაბალ ციდან / მოდის ბური ნისლის“.

ნაცრისფერის მახასიათებლებს ქვეცნობიერი დომინანტით ემთხვევა ,,ნისლის“ ცნების სემანტიკა, რომელიც განიმარტება, როგორც რაღაც გაურკვეველი, გამოუთქმელი, გაუგებარი.

პაოლო იაშვილთან გვხვდება აგრეთვე – ,,შავბნელი“, ,,შავბედი“:

,,ბედი, **შავბედი** გარდასულ დღეთა“ (,,მიმათვა კოლხიდას“);

,,ჩემი **შავბნელი** სამშობლოს ნაცვლად“ (,,შორ სამშობლოში აირჩიე წასვლა“).

პ. იაშვილის ლექსებში თეთრი არის სიკვდილის, სიცივის, ზამთრის სიმბოლიკის მატარებელი ფერი. შესაბამისად, უკავშირდება მოწყენილობას, სევდას, გაურკვევლობას, სიცარიელეს, უმოქმედობას, უძლურებას, მწუხარებას, სიკვდილს (უარყოფითი), მოლოდინს, იმედს (დადებითი): ,,...და დაღალულან დედოფალის თეთრი ხელები“ (,,მეფის ქორწილი“); ,,ამშვენებს რიჟრაჟს დედოფალის თეთრი სინაზე“ (,,მეფის ქორწილი“); ,,მიგასვენებნ თეთრი დები სიჩუმის ნავზე...“ (,,ვერჰარნ“); ,,...მაგრამ დედოფალს ჯერ არ სძინავს და თეთრად ელის“ (,,სევდიანი ზურმუხტი“); ,,ორი თვით ასე თეთრად გახმები, / მშობელო მიწა“ (,,სოფელში“).

თეთრი ფერი ასოცირდება მთვარესთან, თოვლთან და ყინულთან. თოვლის სითეთრე, ერთი მხრივ, სიწმინდის, მეორე მხრივ კი, სიცივის სიმბოლოა.

თოვლი: ,,მტრედისფერ თოვლით ჯერ სამყარო არ დაფარულია“ (,,ზამთარში“); ,,იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში...“ (,,ევროპა“).

მთვარე: ,,ჩემი ტუჩები ცივი არის, როგორც ის მთვარე / ჩემს ფანჯარაში სიკვდილივით რომ იხედება“ (,,ზამთარში“); ,,მთვარე კი თეთრი ბატივით / ცაში ვარსკვლავებს კენკავდა“ (,,სამასი არგვეთელი“).

ზამთარი: ,,შორს უკვე თეთრი მთებია, მთებში მოსულა ზამთარი“ (,,მთაში მოსულა ზამთარი“).

პოეტის ლინგვოსპექტრში ხშირია სიტყვები, რომლებიც თეთრი ფერის სემანტიკურ ველში ერთიანდება: მკრთალი, სპეტაკი, ნათელი, ჭაღარა, დღე... აგრეთვე, ფერდაკარგული, ფერწასული, ფერმკრთალი, შეფითრებული, გაფითრებული...

ნათელი: ,,მაგრამ არ იცის ნათელი გზა იქ წასავალი“ (,,სევდიანი ზურმუხტი“); ,,შეხვალთ შიგნით, ნახავთ დარბაზს... სადას, ნათელს, კეთილშობილს“ (,,თეატრი“);

ფერმკრთალი: ,,დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი“ (,,მეფის ქორწილი“);

შეფითრებული: ,,შემოგხვდა შეფითრებული“ (,,გზა მშვიდობისა“);

ფერგადასული: ,,მაგრამ გაჩნდება მეომარი ფერგადასული“ (,,ასპინძის ომი“);

გაფითრება: ,,როცა გაფითრდა და დადუმდა, იმავე დღიდან...“ (,,მოგონება“).

პაოლო იაშვილის ლექსებში გვხვდება ცისა და ზღვის ფერი – **,,ლურჯი“/,,ცისფერი“.** ამ ფერის აღქმა ჩვეულებრივ იწვევს ასოციაციებს სამყაროსთან და აზროვნებასთან, ერთგულებასთან და ღვთაებრივ სიბრძნესთან. ცისფერი უკავშირდება გულწრფელობას, სულიერებას, სიმარტოვეს, სევდას, უსასრულო სივრცეს.

როგორი ფერია ცისფერი? ამ კითხვას თვითონ პაოლო პასუხობს – ,,ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია, // ცისფრად მორთული დაგიხვდები, გააღე კარი“ (,,ზამთარში“). ამ ფერის გამოყენებით იქმნება შემდეგი პოეტური სახეები: ,,რა ლურჯია და რა საწყალია...“; ,,..ისე გალურჯდება იქ შაბიამანი“; ,,ლურჯ ხავერდიან ხეების ლანდები“; ,,და ლურჯ ჰაერის ელვარება...“; ,,ლურჯად ბნელოდა“; ,,დილა ვადიდო ცისფერ თვალება“.

ლურჯი უკავშირდება **ცას, ზეცას:** ,,კლდეებს შუა მოსჩანს ზეცა, / როგორც ვიწრო ლურჯი ხიდი“; ,,...სადაც ზეცაა ცისფერი მარად“; ,,ცას გადეკრა სილურჯე ბაცი“.

ზღვას: ,,ლურჯ ზღვის პირად, ბინადრობდნენ მარტო“.

ცნობილია, რომ თბილ და ცივ ფერებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებენ **მწვანე** ტონები. მწვანე უკავშირდება ბუნებას, გაზაფხულს, ენერგიას, იმედს, დაბადებას, სიცოცხლეს. პაოლო იაშვილი არა ერთხელ იყენებს ამ ფერს, როგორც ბალახის ფერს: ,,შენს მწვანე ფოთლებს დილით თუ ეცა // სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები“ (,,ქუთაისისთვის“); ,,ხელისგულიდან სიო ძირს რომ გადმოგივარდეს, მწვანე ბალხში წივილივით დაფაცურდება“ (,,დილა“).

,,დარიანული ლექსები“, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში იხვეწებოდა ახალი ფერებით, ლირიკული გარდასახვის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. დარიანულ ლექსებში სიყვარულისა და მარადიულობის სიმბოლოა მზისფერი, წითელი, ვარდისფერი. მყუდროების ფერია თეთრი მტრედისფერი, ლურჯი – იდუმალების, ცისფერი – სიყვარულის, მწვანე – სიმშვიდის, თეთრი და ყვითელი სევდიან ემოციურ ფონს ქმნის.

,,დარიანულ ლექსებში“ყველაზე მეტად გვხვდება ,,ლურჯი“/,,ცისფერი“, რომელიც მხატვრული თვალსაზრისითაც გამორჩეულია: ,,ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია, / ცისფრად მორთული დამიხვდები, გააღე კარი“ (,,ზამთარში“); ,,ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება“ (,,მე და კატა“); ,,ლურჯ სფინქსთან მივა, დიდხანს უცქერს და დაღონდება“ (,,პირამიდებში“); ,,მარტო ვიყავი!.. ჩემ გარშემო ლურჯად ბნელოდა“ (,,უვერტიურა“); ,,თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით“ (,,ცისფერი ქოლგა“); ,,ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი“ (,,წერილი ანნა ახმატოვას“).

პაოლო იაშვილთან დასტურდება როგორც სამწერლო და ხალხური მეტყველებიდან ცნობილი, ისე მის მიერ შექმნილი ფერთა აღმნიშვნელი ახალი ლექსიკური ერთეულები.

გვხვდება რიცხვითი სახელისგან ნაწარმოები **შვიდფერი:** ,,ცა შვიდფერი ცისარტყელით“ (,,გზა მშვიდობისა“);

მრავალფერი: ,,თოვლზე დაფანტულ მრავალფერი ქვის მაქებარი!“ (,,მალარმე“).

სტიქიურ მოვლენასთთან დაკავშირებული **ცეცხლისფერი:** ,,ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ (,,მეფის ქორწილი“).

ისეთი სპეციფიკური ფრაზეოლოგიური ერთეული, როგორიცაა **,,მზის ფერი“** მშვენიერების, საკუთრივ ნათელის კოლორისტულ შინაარსად აღიქმება.

,,მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე“ (,,პირამიდებში“).

ამასთანავე, უნდა დავასახელოთ **,,ჭრელი“, ფერადი, აფერადებული, უფერო:** ,,...მაგრამ სიჭრელე და გაორება“ (კოლაუ ნადირაძეს); ,,ვეფხების ლოთობა, ჭრელი ბოროტება“ (,,იქითური“); ,,აფერადებულ დაბლობის ფარდაგს“ (,,კოლხიდის პირველ მოსახლეს“); ,...უფერო დღენი“ (,,სარკე“).

პაოლო იაშვილის ლექსებში გვხვდება რთულფუძიანი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც შედგება ფერთა აღმნიშვნელი საგნისა და ფერ- სახელებისაგან. მოვიყვანთ ფრაგმენტებს ლექსებიდან:

ზღვისფერი: ,,დამძიმებულან მოჟრიალე, ზღვისფერ ჩიტებით“(,,მალთაყვა“);

მტრედისფერი: ,,დილის სხივებმა გაიხარეს მტრედისფერ ცაზე“ (,,მეფის ქორწილი“).

ცრემლისფერი: ,,ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი, მხურვალე ცას ეფინება“ (,,ფარშავანგები ქალაქში“);

იისფერი: ,,იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი“ (,,დაცემულ ბათომს“);

სისხლისფერი: ,,...ვით დაფლეთილი, სისხლისფერი, სოველი ჩვრები“ (,,ფარშავანგები ქალაქში“);

ჟანგისფერი: ,,მზე დაწყდა სისხლად, ჟანგისფერი მძიმობს ჰაერი“ (,,ასპინძის ომი“);

ქარვისფერი: ,,ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო“ (,,მეფის ქორწილი“);

ცეცხლისფერი: ,,ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ (,,მეფის ქორწილი“);

სანთლისფერი: ,,სანთლისფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება“ (,,სევდიანი ზურმუხტი“);

ვერცხლისფერი: ,,...გაახალისა ვერცხლის ფერებით“ (,,დებედაჩაის ღამე“);

დაისის ფერი: ,,ის დაისის ფერი სილა“ (თბომავალი ,,საქართველო“).

ერთცნებიანი კომპოზიტი შესაძლოა სამ შემადგენელსაც შეიცავდეს, რომელშიც პირველი და მეორე კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დგას და რომლის წევრებზეც **-ფერ** სიტყვის დამატებით კომპოზიტებს მივიღებთ. მაგალითად, **ზღვის ტალღების ფერი:** ,,ოთახების სინათლე ზღვის ტალღების ფერია“ (,,თავდაპირველ მოსახლესთან“).

გვხვდება თანაბარი დატვირთვის მქონე შერწყმული ფუძეები: ,,გახედე ტალღებს, როგორ **ფერად-ფერად** მიდიან“ (,,მალთაყვა“).

პაოლო იაშვილი ლექსებში გვხვდება ფერის აღმნიშვნელ სახელთა ხარისხის ფორმები, რომელსაც საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთმიმართების საფუძველზე ვიღებთ. მაგალითად:

სიჭრელე: ,,მაგრამ სიჭრელე და გაორება“ (კოლაუ ნადირაძეს);

სილურჯე: ,,ცას გადეკრა სილურჯე ბაცი“ (სამასი არგვეთელი);

სიმწვანე: მაგრამ მოსცილდა მას სიმწვანე გასახარელი!“ (,,ზამთარში“).

პოეტი მიმართავს **-იან** სუფიქსებიან ფორმასაც: ,,ჭორფლიან ცხენით დადის ურია“.

ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებისაგან იწარმოება ზმნები და სახელზმნები: ,,შიშით ვიხედები, **გაყვითლდნენ** გედები“; ,,და ვაზის ფურცლებზე ისე **გალურჯდება** იქ შაბიამანი“; ,,**გაწითლდა** მტკვარი და შეიქმნა სისხლის ნაირი“; ,,შემოგხვდა **შეფითრებული**“; ,,ბუნებით შავი, ხელოვნურად **გათეთრებული**“.

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შეიძლება ვითარების გარემოებად მოგვევლინოს: ,,ის, რაც ცოცხალს **შავად** ახმობს“; ,,ორი თვით ასე **თეთრად** გახმები...“ / აქ არ ყვაოდა **ყვითლად** ზაფრანა“; ,,მაღლა-მაღლა ადის ხალხი, გაბადრულა მხარე **მწვანედ**“; ,,მარტო ვიყავი!.. ჩემს გარშემო **ლურჯად** ბნელოდა“; ,,ჩუმად არის ყველაფერი, ქალაქს **წითლად** ეძინება“.

ფერთა სიტყვები გამოიყენება **მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებების, ადამიანის სახის, თმის, თვალის ფერის აღსანიშნავად:** ,,მე მიხარია ბნელ თვალებით რომ დავიბადე“ (,,ფერადი სონეტი“); ,,მე მორიდებით მის ყვითელ თმებს სხივს დავაფენდი“ (,,ვერლენ“); ,,სამეფო გზაზე ცისფერ ვარდებს შლიან მონები“ (,,მეფის ქორწილი“); ,,იფეთქებს გუნდი შავი შაშვების“ (,,პოეზიის ინჟენერებს“); ,,ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი“ (,,ევროპა“); ,,ჭორფლიან ცხენით დადის ურია“ (,,ნასაყდრის გალავანიდან“); ,,ხევსურებიც ჩამოვიდნენ, იმათ წითურ, შეკრულ ცხენებს“ (,,უკრაინელი ქალის სიმღერა“).

პაოლო იაშვილის ლექსებში სჭარბობს წითელი, ყვითელი, მწვანე და თეთრი. პოეტის ლინგვოსპექტრში განსაკუთრებით ხშირია შავი ფერის ჯგუფში შემავალი სიტყვები: დაისი, ბნელი, რუხი, წყვდიადი, ბინდი; დარიანულ ლექსებში კი უფრო გამოკვეთილია ლურჯი/ცისფერი.

ამდენად, ქრომატულ და აქრომატულ ფერებს სხვადასხვა ფუნქცია აქვს, რომლებიც გამოიყენება როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტებში. პაოლო იაშვილის ლექსების მიხედვით, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ფერთა ამსახველი სიტყვებით გამოიხატება სილამაზე, მშვენიერება, სულიერება, სიბრაზე, უბედურება, ცბიერება, გასაჭირი, სიცივე, სევდა, მოწყენილობა, სიცარიელე, სიკვდილი, გლოვა, იმედი, ავადმყოფობა, შიში, ბოროტება. ბუნებრივია, ერთი სტატია ვერ ამოწურავს პოეტის შემოქმედების მთლიან ლექსიკურ თავისებურებებს. ჩვენ ძირითადად შევეხეთ ფერთა სიტყვების სემანტიკურ თავისებურებებს.

ლიტერატურა:

1. გოგუა ნ. (2008): ფერთა ენობრივი აღნიშვნები, ხელისუფლება და საზოგადოება, №2 (6). 175-179.
2. თავდიშვილი მ. (1974): ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, ,,ცისკარი“, №2. 108-117.
3. კაციაშვილი ე. (2014): აქრომატულ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სიმბოლურ-სემანტიკური ანალიზი ქართულსა და ინგლისურ ენებში, ჟ. ინტელექტი 1(48). 178-181.
4. მოსიაშვილი მ. (2005): ,,ფერის“ ენობრივი აღქმა ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში, სჯანი, №6. 81-84.

5. ცალქალამანიძე მ. (2018): ფერის სემანტიკა. ადამიანთა ქცევის ტიპები და არქიტექტურული სივრცის ფერითი მოდელირების თეორიული საკითხები, ჟ. ,,განათლება“, 1 (20). 233-242.
6. Серов Н. В, Символика цвета, ,,Страта“, 2015.

Pheride Sanaia
Sokhumi State University

Color Lexical characteristics of Paolo Iashvili's work

Abstract

Language is a system. Therefore, it also has its own structure. The discovery of systemic signs in the vocabulary is facilitated by the semantic classification of the lexical fund and, consequently, the study of these separate groups. One of such lexical-semantic components is the vocabulary of colors. Thers and what symbolic blocks it unites in the poetry of the "Blues".

The study of color vocabulary is related to the semantics of the word color itself. For example, the descriptive meaning of red is color, but in symbolic terms, red can be a symbol of war, joy or blood.

Every writer appeals to characterize the objects with colours. Some writers' language is rich with colour indicating vocabulary. In the paper the main attention is drown on sensation of color in Paolo Iashvili's creativity. The aim of the article is colours' structural-semantic analyze and to gain argumentive materials.

Bluebirds prefer white, black, blue, red, yellow and synonymous units in this group. Contrasting white and black it is light and darkness that are the main philosophical colors of the world; The rest are transitional, intermediate colors.

Color artistic analyze has an important part in Paulo Iashvili works. The dominant colors in his works are red and yellow as the indication of "evil" color. Using different colors poet describes comparatively peaceful events. He uses chromatic and achromatic colors.

In terms of morphological structure, it is confirmed as simple-stemmed (white, black, red, green, blue, yellow, gray), formed stem (reddish, bluish, whitish, yellowish…), hard-stemmed (black-white, white-pink, red-green…) Color names and two-component syntagms (light blue, dark blue).

The nature and abundance of the use of the color phenomenon depends on the author.. The authors apply either color variation or colors are rarely realixed in their works. Different colors, depending on the context, evoke both positive and negative emotions.

Although the content of the color symbols undergoes significant changes, from an interpretive point of view, the core of the color symbolism still remains unchanged. In poetry he deals with so many comprehensive issues his understanding is sometimes different.

Key words: Color, Georgian Symbolists, Paolo Iashvili, Poetry.